



Table of Content

Financial Statements of AS 24 Georgia

by the year ended 31 December 2019

Template Description

Statement of Financial Position	A
Statement of Comprehensive Income	B
Statement of Changes in Equity	C
Statement of Cash Flows	D
Disclosure Notes	

Notes to the Financial Statements

Tab
No.

Template Description

Checks

1	Property, Plant and Equipment	1	-
2	Trade and Other Receivables	2	-



Statement of Financial Position

Company: AS 24 Georgia

As of 31 December 2019

Unit currency: Georgian laris (GEL)

	31-Dec 2019	31-Dec 2018	31-Dec 2017
Assets			
Non-Current Assets			
Property, Plant and Equipment	1 90,643	90,643	82,193
(Depreciation of Property, Plant and Equipment)	(73,114)	(61,169)	(49,594)
Total Non-Current Assets	17,529	29,474	32,598
Current-Assets			
Inventory	8,895	8,298	8,287
Prepayments and Other Short Term Assets	5,946	132,322	19,766
Trade and Other Receivables	517,646	317,128	708,525
Cash and Cash Equivalents	1,729,004	1,275,449	1,002,501
Total Current Assets	2,261,491	1,733,196	1,739,079
Total Assets	2,279,020	1,762,670	1,771,678
Liabilities and Equity			
Equity			
Chartered Capital	1	1	1
Previous Periods Accumulated Gains (Losses)	298,542	259,532	228,590
Current Period P/L	93,348	39,010	30,942
Total Equity	391,891	298,543	259,533
Non-Current Liabilities			
Borrowings	1,508,465	1,442,947	1,459,068
Total Non-Current Liabilities	1,508,465	1,442,947	1,459,068
Current-Liabilities			
Advances Received	-	-	-
Trade and Other Payables	370,163	8,204	7,238
Accrued Interest Payables	1,621	1,550	1,568
Tax Liabilities	3,992	142	274
Other Short-Term Liabilities	2,889	11,284	43,997
Total Current Liabilities	378,664	21,180	53,077
Total Liabilities and Equity	2,279,020	1,762,670	1,771,678

Signature

Director



Statement of Comprehensive Income

Company: AS 24 Georgia

Ended on 31 December 2019 (comparatives are for 12 months' period)

Unit currency: Georgian laris (GEL)

	Year 2019	Year 2018	Year 2017
Revenue	3,641,552	4,172,847	7,233,474
Cost Of Sales	(3,367,890)	(3,920,378)	(6,710,858)
Beginning Inventory	139	129	1,098
Purchases	3,367,906	3,920,388	6,709,889
Ending Inventory	(155)	(139)	(129)
Gross Profit	273,662	252,469	522,616
Rent Fee	(3,464)	(3,100)	(3,073)
Depreciation Expenses	(11,945)	(11,575)	(10,631)
General And Administrative Expenses	(142,702)	(141,090)	(223,602)
Total Operating Expenses	(158,111)	(155,765)	(237,306)
Operating Profit	115,551	96,704	285,310
Other Non-Operating Income	-	-	2,529
Financial Cost	(1,490)	(1,443)	(1,068)
Translation Gains (Losses)	(20,714)	(56,251)	(255,829)
Profit Before Tax	93,348	39,010	30,942
Profit Tax Expenses	-	-	-
Profit For The Period	93,348	39,010	30,942

Signature

Director



Statement of Changes in Equity

Company: AS 24 Georgia

As of 31 December 2019

Unit currency: Georgian laris (GEL)

<i>In Georgian Lari</i>	Charter capital	Accumulated profit/(loss)	Total Equity
As of January 1, 2018	1	259,532	259,533
Profit/(Loss) for The Year	-	39,010	39,010
Other comprehensive income for the year	-	-	-
<i>Total Comprehensive income for the year</i>	-	<i>39,010</i>	<i>39,010</i>
Authorized Increase of Charter Capital	-		
Dividends	-		
<i>Transactions with Owners</i>	-		
As of December 31, 2018	1	298,542	298,543
Profit/(Loss) for The Year	-	93,348	93,348
Other comprehensive income for the year	-	-	-
<i>Total Comprehensive income for the year</i>	-	<i>93,348</i>	<i>93,348</i>
Authorized Increase of Charter Capital	-		
Dividends	-		
<i>Transactions with Owners</i>	-		
As of December 31, 2019	1	391,890	391,891

Signature

Director



Statement of Cash Flows

Company: AS 24 Georgia

Ended on 31 December 2019 (comparatives are for 12 months' period)

Unit currency: Georgian laris (GEL)

	Year 2019	Year 2018	Year 2017
Cash Flows From Operating Activities			
Profit Before Tax	93,347.78	39,010	30,942.08
Non-Cash Adjustments:			
Depreciation and Amortization	11,944.56	11,575	10,630.76
Taxes Paid	-	-	-
	105,292.34	50,585	41,572.84
Change in Trade and Other Receivables	(200,517.54)	391,397	163,912.22
Changes in Prepayments and Other Short Term Assets	126,375.48	(112,556)	171,008.11
Change in Inventories	(597.36)	(10)	410.89
Change in Advances Received	-	-	(3,399.99)
Change in Trade and Other Payables	361,959.24	966	(7,010.24)
Change in Tax Liabilities	3,850.50	(133)	(15,666.12)
Change in Interest	70.40	(17)	813.34
Change in Other Short-Term Liabilities	(8,395.76)	(32,713)	18,717.32
Net Cash From / (Used For) Operating Activities	388,037	297,519	370,358.37
Cash Flows From Investing Activities			
Purchase of Property, Plant and Equipment	-	(8,451)	(3,861.72)
Net Cash Provided From Investing Activities	-	(8,451)	(3,861.72)
Cash Flows From Financing Activities			
Proceeds From Borrowings	65,518.00	(16,121)	145,888.00
Net Cash Provided From Financing Activities	65,518	(16,121)	145,888.00
Net Increase (Decrease) in Cash and Cash Equivalents	453,555.30	272,948	512,384.65
Cash and Cash Equivalents at The Beginning of The Period	1,275,448.70	1,002,501	490,116.27
Cash and Cash Equivalents at The End of The Period	1,729,004.00	1,275,449	1,002,500.92
<i>Check</i>	-	-	-

Signature

Director



Property, Plant and Equipment

2019 reporting Year

Historical cost	Machinery and equipment
Historical cost 01.01.2018	82,192.66
Additions 2018	8,450.54
Disposals	-
Historical Cost 31.12.2018	90,643.20
Accumulated depreciation	
Accumulated depreciation 01.01.2018	49,594.29
Depreciation 2018	11,575.04
Accumulated depreciation of disposals 2018	-
Accumulated depreciation 31.12.2018	61,169.33
Accumulated depreciation 31.12.2018	61,169.33
Net book value	
Net book value 01.01.2018	32,598.37
Net book value 31.12.2018	29,473.87
<i>Check</i>	-
Historical cost	
Historical cost 01.01.2019	90,643.20
Additions 2019	-
Disposals	-
Historical Cost 31.12.2019	90,643.20
Accumulated depreciation	
Accumulated depreciation 01.01.2019	61,169.33
Depreciation 2019	11,944.56
Accumulated depreciation of disposals 2019	-
Accumulated depreciation 31.12.2019	73,113.89
Accumulated depreciation 31.12.2019	73,113.89
Net book value	
Net book value 01.01.2019	29,473.87
Net book value 31.12.2019	17,529.31
<i>Check</i>	-



General and Administrative Expenses

2019 reporting Year

Account #	Description	2019 GEL	2018 GEL	2017 GEL
7490 03	Commission Costs	16,534.16	23,685.79	45,810.23
7490 06	Laboratory Analysis Cost	8,084.73	2,113.72	36,251.11
7465	Tax Expenses	998.43	11,400.36	10,107.74
7490 07	Maintenance Expenses	1,820.48	-	1,262.43
7490 09	Transportation Expenses	792.40	1,697.25	1,191.76
7490 17	Forecast For Re invoicing Costs	11,438.34	21,561.48	34,357.80
7490 10	Managements Fees	9,507.21	18,081.21	23,167.02
7435 01	Insurance Expenses	25,125.46	17,087.74	13,004.94
7450 01	Consulting, Accounting and Legal Services	51,738.11	31,625.10	31,363.06
7490 02	Internet Expenses	12,203.40	12,203.40	13,584.75
7490 16	Agent Service Expenses	-	-	2,699.15
7490 14	Travelling Cost	2,846.28	703.21	9,316.58
7490 01	Bank Charges	872.57	575.52	1,393.30
7490 04	Notary Translation	170.00	-	-
7490 15	Other Expenses	570.44	354.88	92.20
TOTAL		142,702.01	141,089.66	223,602.07

Check

- - -

ფინანსური ანგარიშგების ახსნა- განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

AS24 წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო. მისი ძირითადი საქმიანობის სახეს წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა დიზელის სათბობით.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო ზომის საწარმოების (მსს ფასს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების ზოგადი პირობები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

კომპანიას არ წარუდგენია საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება გარე მომხმარებლებისათვის წინა პერიოდებში, შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას. კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოიყენა ფასს 1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8677 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 3.2095 არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით

(ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკუროს სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღირიცხება დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

3.4 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით მაღალი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, რომელიც საშუალოდ შეადგენს 3-7 წელს, პროგრამული უზრუნველყოფის, უფლებებისთვის და სხვა.

განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება, ნაცვლად ამისა, ყოველწლიურად მოწმდება გაუფასურებაზე მათი ანაზღაურებადი ღირებულების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და ყოველთვის როდესაც არსებობს რაიმე ნიშანი ამისა, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს.

3.5 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი

დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან, როგორშიც ის იმყოფება.

3.6 გაუფასურება

გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, ქტივების დაჯგუფება ხდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს მეტწილად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოდიდება (ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულები). შედეგად, ზოგიერთი აქტივის ტესტირება გაუფასურებაზე ხდება ინდივიდუალურად, ხოლო ზოგიერთი მათგანის ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულის დონეზე.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ნ ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ, ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება, როგორც გადაფასების ზრდა.

3.7 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლის და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამუზნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.8 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი

ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

3.7 შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

კომპანია აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულებას შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისად და წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო ვალდებულებას. ანალოგიურად, თუ კომპანია დააკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას, ფულადი სახსრების მიღებამდე, კომპანია აღიარებს საკონტრაქტო აქტივს ან მოთხოვნებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც დამოკიდებულია გადახდის პერიოდისგან განსხვავებულ სხვა გარემოებებზე.